

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
დაზმირ დარსალიას 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფიჩხოვოს მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ მე 2014 წლის ივნისის თვიდან დღემდე ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი. ჩემი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდიდან ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე; საკრებულოს საბიუჯეტო კომისიის წევრი; ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს წევრი; გარდა ამისა, ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარები“-ს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი „პირის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრების(ყოფნის) ფაქტი“-ს დამდგენი კომისიის წევრი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ როგორც სოფლად, ასევე მთლიანად მუნიციპალიტეტში ყველა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის საქმეში. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს ცამეტი სხდომის მუშაობაში. მომზადებული მაქვს საკრებულოს „ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხები“-ს კომისიის 7 სხდომა.აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილ კომისიებში საკითხების მომზადებასა და სხდომებში განსახილველად გატანაში მიღებული მაქვს მონაწილეობა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლები“-ს კომისიის 15 სხდომისათვის საკითხების მომზადებასა და განსახილველად გატანაში.

მიმდინარე წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. კერძოდ, ჩემი უშუალო მონაწილეობით გაეწია ფინანსური დახმარება 7 ოჯახს გაუსადღისი საბინაო პირობების მინიმალურ დონემდე უზრუნველყოფის მიზნით. ჩემი აქტიური მონაწილეობით 8 ოჯახი აყვანილ იქნა უმწეო ოჯახთა ბაზაში და დაენიშნა შესაბამისი ყოველთვიური ფინანსური დახმარება. ასევე დავეხმარე 5 ოჯახს უმწეო კატეგორიის აღდგენაში და მათზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების დანიშვნაში. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად 43 ადამიანს გაუწიეთ დახმარება თანადაფინანსების სახით ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სახის ოპერაციების დროულად ჩატარებისათვის.

მიმდინარე წლიდან სახელმწიფოს მიერ აღდგენილ იქნა სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, რამაც საშუალება მოგვცა სოფელში მოგვეწესრიგებინა უბნების მიხედვით შიდა საუბნო გზები, მოგვეწესრიგებინა სასმელი წყლის ქსელი ლედარსელეს უბანში, მოწესრიგდა გარე განათების ქსელი ლედარსალესა და ხანწკის ცენტრში, სოფლის ცენტრალურ გზაზე 3 კმ მანძილზე მოწყობილ იქნა გარე განათების ქსელი.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს სამსახურების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა და ხორციელდება 2019 წელს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: მიმდინარეობს წალენჯიხა- ქუთაისის საავტომობილო გზის მიმართულებით ნაფიჩხოვოს მონაკვეთზე ლედარსალეს უბანში საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლოსათვის დასრულდრბა. კაპიტალურად შერემონტდა ლედარსალესა და ხანწკის უბანში არასრული საშუალო სკოლების შენობა, მიმდინარეობს ცენტრალური ბაგა- ბაღის პირველი სართულის სრული რეაბილიტაცია, რომელიც ამ დღეებში დასრულდება. წლის ბოლოსათვის დასრულდება ხანწკის უბანში ბაღის სრული

რეაბილიტაცია. ორი თვის უკან დაიწყო და წლის ბოლოსათვის დასრულდება ამბულატორიის მშენებლობა. 330 ოჯახზე გათვლილი სასმელი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები დამთავრების სტადიაშია. სულ ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებაში დაიხარჯება 1250,0 ათას ლარზე მეტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამჟამად მიმდინარეობს და წლის ბოლოსათვის დასრულდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები. კერძოდ: სოფლის სამივე უბანში ეწყობა შიდა საუბნო გზები ბეტონის საფარით, კეთდება ხიდ-ბოგირები და მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ვხედავთ მიმდინარე წელს გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული, მაგრამ შევეცდებით მომავალში საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ბოლოს მინდა ავღნიშნო, რომ ყველა ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა საკრებულოს და მერიის ხემძღვანელობის, საკრებულოში კოლეგების და შესაბამისი სამსახურების, როგორც საკრებულოსა და მერიის, ერთობლივი გადაწყვეტილებებით.

საკრებულოს წევრი

ნაფიჩხოვოს მაჟორიტარი დეპუტატი

დაზმირ დარსალია

31.10.2019წ.

